საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 2294/01
10/03/2022

2294-01-2-202203101604

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 10 თებერვლის №2234 განცხადება, რომელიც ეხება თელავისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტებში, ბაკურციხე-წნორის (16 კმ) საავტომობილო გზის მონაკვეთის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

გაცნობებთ რომ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში მოცემული არ არის და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში ძირითადად განხილულია ბაკურციხე-წნორის (16 კმ) საავტომობილო გზის მონაკვეთის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ზემოქმედება, თუმცა, წარმოდგენილ დოკუმენტში აღწერილი და შეფასებული უნდა იქნეს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებული სატრანსპორტო კვანძის (გზაგამტარი) მოწყობის პროცესში გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედება;
- სკრინინგის განცხადებაზე თანდართულ Shp ფაილებში წარმოდგენილია საპროექტო ტერიტორიის ერთიანი პოლიგონალური ფენა, სადაც არ იდენტიფიცირდება დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა. სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს დაგეგმილი საქმიანობის თითოეული ინფრასტრუქტურული ერთეულის (გზა, ხიდი, ბურჯი და ა.შ.) შესაბამისი Shp ფაილი და GPS კოორდინატები;
- წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ არის მოცემული გზაგამტარის შემადგენელი ხიდი №1-ის შესახებ დეტალური ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადებაში (გვ. 16) მითითებულია, რომ „ტერიტორიაზე საწვავის ავზის არსებობის შემთხვევაში ის განთავსდება მდინარის ნაპირიდან არა უმცირეს 100 მ-ის მანძილზე“. აღნიშნული ჩანაწერი ბუნდოვანია და საჭიროებს განმარტებას. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში ასევე გათვალისწინებულია ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს აღნიშნული საცავის შესახებ

დეტალური ინფორმაცია და მისი განთავსებით გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედება;

- სკრინინგის განცხადებაში აღწერილი და შეფასებული უნდა იქნეს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებული გზაგამტარის მოწყობის სამუშაოების პროცესში მდ. ჩალაუბნისხევზე მოსალოდნელი ზემოქმედების საკითხი;
- წარმოდგენილ დოკუმენტაციაში დაზუსტებას საჭიროებს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში ჩამდინარე წყლების წარმოქმნისა და შემდგომი მართვის საკითხი;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული არ არის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დაგეგმილი გზაგამტარის მოწყობის სამუშაოების ფარგლებში ნიადაგზე/გრუნტზე მოსალოდნელი ზემოქმედება;
- სკრინინგის განცხადებაში აღწერილი უნდა იქნეს საპროექტო ტერიტორიაზე არსებულ მცენარეულ საფარზე მოსალოდნელი ზემოქმედება;
- დოკუმენტში წარმოდგენილი არ არის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში წარმოქმნილი ნარჩენების სახეობების და შემდგომი მართვის შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების პროცესში წარმოქმნილი ფუჭი ქანების რაოდენობისა და შემდგომი მართვის საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე